ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი #3

ქ. ცაგერი 25 თებერვალი, 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვასილ საღინაძე
ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი;
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: მარიკა კოპალიანი, ონისე ჩაკვეტაძე;
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები: გიორგი გუგავა, თამაზი ჭაბუკიანი,
ზაზა ყურაშვილი, ნოდარი საღინაძე, ელენე საღინაძე;
ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე:
დავით მუშკუდიანი;
ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეები:
გივი გოგებაშვილი, ნატო ბურჯალიანი, მამუკა მამარდაშვილი,
მამუკა ჩიქოვანი, ოთარი თვარაძე, ბესიკინ ჩანქსელიანი.

ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ თავმჯდომარის მოადგილე: ნიკა ქომეთიანი;
ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე: გოდერძი ახვლედიანი.
საკრებულოს წევრები: მურმანი თოთაძე, ჯონი ხალიანი, გორდა გვიშიანი,
მარი ბურჯალიანი, თინათინი ნემსწვერიძე, თამაზ თვარაძე,
ხვიჩა ჩხეტიანი, ბერდია კვირიკაშვილი, გიორგი გოლეთიანი,
კახა ყურაშვილი;

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოდგილის მოვალეობის შემსრულებელი:
მამუკა ლათოდიანი
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:
ქეთევან კოპალიანი
მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გიორგი ხმელიძე
მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი: დავით ჩიქოვანი
მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის
უფროსი: გიორგი კვირიკაშვილი
მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი:
სოფიო გვიშიანი
ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის ხელმძღვანელი: გიორგი დავითულიანი
ა(ა)იპ ცაგერის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელი: რუსუდან ყურაშვილი
საკრებულოს აპარატის უფროსი: თამთა ონიანი
საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნინო მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ‘‘ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის შესყიდვების ანგარიშის მოსმენისა და ცნობად მიღების თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, დ. ჩოქოვანი/

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა, N69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) პირველ სართულზე 30.00 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ორი წლის ვადით ა(ა)იპ ,,ერთად რეალური ცვლილებებისთვის'' (ს/ნ 401981931) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე..

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების - (ა(ა)იპ ცაგერის სამუსიკო სკოლისა და ა(ა)იპ ცაგერის სამხატვრო სკოლის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. კვირიკაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ - ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის შესყიდვების ანგარიშის მოსმენისა და ცნობად მიღების თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, დ. ჩოქოვანი/

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა, N69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) პირველ სართულზე 30.00 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ორი წლის ვადით ა(ა)იპ ,,ერთად რეალური ცვლილებებისთვის'' (ს/ნ 401981931) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე..

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების - ა(ა)იპ ცაგერის სამუსიკო სკოლისა და ა(ა)იპ ცაგერის სამხატვრო სკოლის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. კვირიკაშვილი/

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ქეთევან კოპალიანმა. 2026 წლის ბიუჯეტში მესამე ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა განმარტებითი ბარათით:

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის #25 დადგენილებით და განისაზღვრა 17361,5ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში მესამე ცვლილების შეტანის საფუძველია „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 3 თებერვლის #258 განკარგულება. (2026 წლის 29 იანვრის #222 განკარგულების ცვლილება). განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა არაუმეტეს 2000,0(ორი მილიონი ლარი)ათ,ლარისა, რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში , ხოლო გადასახდელებში :

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა „ორგ. კოდი

- **02 01 01“ – 2000,0 ათ, ლარი.** აღნიშნული თანხით განხორციელდება შემდეგი პროექტები: ცაგერის მუნიციპალიტეტის ორბელის ტერიტორიულ ერთეულში სხვადასხვა ლოკაციაზე სტიქიური მოვლენების დროს მდ.ლაჯანურის მიერ დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის შესასრულებელი სამუშაოები და ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორბელში მდინარე ლაჯანურზე საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოები) .

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში წინამდებარე ცვლილება ასევე დაკავშირებულია ბიუჯეტის შემოსულობების კორექტირებასთან და შესაბამისად პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით გადასახდელების გადანაწილებასთან. როგორც ცნობილია, ბიუჯეტის შემოსულობები იგეგმება მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე წინა წლებში შემოსულობების თითოეული სახეობის მიხედვით ფაქტიურად მობილიზებული თანხის ოდენობის ანალიზით. დაგეგმვის დროს ხდება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრული საშუალოვადიანი ფისკალური მაჩვენებლების, ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების და მაკროეკონომიკური პროგნოზების გათვალისწინება.

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 75-78-ე მუხლების შესაბამისად მუნიციპალიტეტი ვალდებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში წარადგინოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესახებ. ამასთან ერთად კანონის 76-ე და 78-ე მუხლები აზუსტებს სამინისტროში წარსადგენი დოკუმენტავიის ვალდებულებას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრეოში შეხვედრაზე განხილული იქნა მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი, როგორც შემოსულობების ყველა სახეობის, ასევე გადასახდელების ყველა მიმართულებით(პრიორიტეტები და პროგრამები). პროგრამული ბიუჯეტირებიდან გამომდინარე საკითხი განხილული იქნა დასახული მიზნების და შედეგების მიღწევის და აღნიშნულისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზების კუთხით. მუნიციპალიტეტის მერიამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხილვის შემდგომ, მოცემული რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითბების გათვალისწინებით დამატებით განიხილა მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების სახეობების მიხედვით შესაძლო თანხების მობილიზების კუთხით არსებული მდგომარეობა და განსაზღვრა შემოსულობების მოცულობები. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დაზუსტებული შემოსულობები განისაზღვრა 16741,2(თექვსმეტიმილიონშვიდასორმოცდაერთიათასორასი) ათ.ლარის ოდენობით.

- საგადასადახო შემოსავლები
  ქონების გადასახადი - 1150,0ათ.ლარი, დღგ - 12460,2 ათ,ლარი.

  საგადასახადო შემოსავლები დაგეგმილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე.

- სხვა შემოსავლები - 445,0ათ,ლარი(დამტკიცებული ბიუჯეტით 470,0ათ.ლარი).
- არაფინანსური აქტივების კლება - 80,0ათ,ლარი.(დამტკიცებული ბიუჯეტით 80,0ათ.ლარი).
- მიზნობრივი ტრანსფერი - 206,ათ,ლარი. (დამტკიცებული ბიუჯეტით 206,0ათ.ლარი).
- სპეციალური ტრანსფერი - 2400,0ათ,ლარი.(დამტკიცებული ბიუჯეტით 2980,6ათ.ლარი).

შესაბამისად ბიუჯეტის გადასახდელებI განისაზღვრა 16741,2ათ,ლარის ოდენობით. მ/შორის:

- საერთო დანიშნულების ხარჯები (პრიორიტეტი 01 00) – 5632,9ათ.ლარით,
- ინფრასტრუქტურის განვითარება(პრიორიტეტი 02 00) - 2154,8ათ.ლარით,
- დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პრიორიტეტი 03 00) - 1131,8ათ.ლარით,
- განათლება (პრიორიტეტი 04 00) - 2544,8ათ.ლარით,
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პრიორიტეტი 04 00) – 4195,9ათ.ლარით,
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა(პრიორიტეტი 06 00) – 1081,0ათ.ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების დადგენილი მოცულობების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხილვის შემდგომ კორექტირება განიცადა ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების, პროგრამების და ღონისძიებების მიხედვით გადახდილი თანხების მოცულობამ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხილვის შემდგპმ პრიორიტეტების მიხედვით ზოგიერთი პროგრამა ფინანსურად შემცირდა, ხოლო ზოგიერთი გაიზარდა. მ/შორის გაიზარდა

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსება - 20,0ათ,ლარით,
- ა(ა)იპ „სამუსიკო სკოლა“ – 700 ლარით,
- ა(ა)იპ „სკოლამდელი და სკოლიგარეშე სააღმზრდელი სამსახური“ – 62,3ათ.ლარით. 62,3ათ.ლარი პროგრამულად და ფუნქციურად გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების და მიმდინარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსებას. მუნიციპალიტეტის მერიას მიზამშეწონილად მიაჩირა აღნიშნული თანხა 62,3ათ,ლარი დაიგეგმოს კეთილმოწყობის ღონისძიებებში(ორგ.კოდი 02 05 01) და შემდგომ განხორციელდეს აღნიშნული პროგრამა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების საფუძველია ასევე 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საკუთარი შემოსავლებიდან დარჩენილი ნაშთის განაწილება. ნაშთი 01.01.2026 მდგომარეობით შეადგენდა 573,7ათ.ლარს, აქედან, როცა განხორციელდა 2026 წლის ბიუჯეტის პირველი ცვლილება:

- 38,0ათ.ლარი - გადაეცა ა(ა)იპ „ფრენბურთის კლუბი ცაგერს“(სპორტსმენების ხელფასებისათვის).

არსებული ნაშთიდან დარჩენილი თავისუფალი ნაშთი შეადგენს 535,70ათ.ლარს. აღნიშნული ნაშთი არსებული საჭიროებიდან გამომდინარე გადანაწილდეს შემდეგნაირად:

- 10,0ათ.ლარი - ა(ა)იპ ფეხბურთის გუნდი ხვამლი(თბილისის „დინამოს“ აკადემიასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად),

- 34,1ათ.ლარი - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით (1098 განკარგულების ნაშთი),

- 4,6 ათ.ლარი - მიზნობრივი ტრანსფერია, რომელიც მ/წელს მოხმარდება ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“.

- 100,0ათ.ლარი - საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა ტრანსპორტირებისათვის,
- 100,0ათ.ლარი - ნაგვის ურნების შესაძენად.

- 147.0ათ.ლარი - მუნიციპალიტეტისათვის მძიმე ტექნიკის შესაძენად.
- 140.0 ათლარი კეთლმოწყობის ღონისძიებებში.

აქვე გაცნობებთ, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი და მეორე ცვლილების დროს განხორციელდა 2026 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს მთავრობის ფონდებიდან გამოყოფილი ნაშთის 2158494,6ლარის განაწილება.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.**

საკითხი 2

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის შესყიდვების ანგარიშის მოსმენისა და ცნობად მიღების თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის შესყიდვების ანგარიშის მოსმენისა და ცნობად მიღების თაობაზე.**

აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოადგინა მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსმა დავით ჩიქოვანმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის შესყიდვების ანგარიშის მოსმენისა და ცნობად მიღების თაობაზე“.**

საკითხი 3

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ,,**საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“.**

აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა სოფიო გვიშიანმა, განმარტა, რომ აღნიშნული განკარულების პროექტის მომზადება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოზადდა შემდეგი საპროექტო წინადადებები, რომლის განხორციელება იგეგმება 2026-2027 წლისთვის:

1. ქ. ცაგერში აღმაშენებლის ქ. №77-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სარემონტო სარეაბილიტაციო - აღდგენა გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება.
2. სოფელ აღვი-ნაკურალეშის დამაკავშირებელი გზის რკინა-ბეტონის საფარით მოწყობა.

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, განსახორციელებელ პროექტებზე მომზადებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

განკარგულების პროექტის მიღებით დადებითად გადაწყდება ქ. ცაგერში აღმაშენებლის ქ. №77-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სარემონტო-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება, შესაბამისად მოწესრიგდება ქალაქის საცხოვრებელი სახლების იერსახე, გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. ამასთან, წლების განმავლობაში არსებული პრობლემა აღვი-ნაკურალეშის ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა დადებითად იქნება გადაჭრილი, რითაც მუნიციპალიტეტის ცენტრი დაუკავშირდება მაღალმთიან სოფელ ნაკურალეშს.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“.**

საკითხი 4

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა, N69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) პირველ სართულზე 30.00 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ორი წლის ვადით ა(ა)იპ ,,ერთად რეალური ცვლილებებისთვის'' (ს/ნ 401981931) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა, N69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) პირველ სართულზე 30.00 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ორი წლის ვადით ა(ა)იპ ,,ერთად რეალური ცვლილებებისთვის'' (ს/ნ 401981931) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ, აღნიშნა რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ 2025 წლის დეკემბერში საკრებულოს 81განკარგულებით მიიღო თანხმობა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ქონების (ს/კ 89.03.22.002) 30 კვ.მ. საოფისე ფართი გადაეცეს უსასყისლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში ა(ა)იპ ,,შშმ პირთა დაცვის ცენტრს". დღეის მდგომარეობით აღნიშნული ა(ა)იპ-ი აღარ სარგებლობს დაკავებული ფართით და ის ახალი ა(ა)იპ-ით ,,ერთად რეალური ცვლილებებისთვის" უნდა ჩანაცვლდეს (ს/კ 401981931); აღნიშნული ორგანიზაცია თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ სახელმწიფო უწყებებთან, მათი მიზნია სოციალური სერვისების განვითარება. შშმ ბავშვთა/პირთა/ხანდაზმულთა უფლებების დაცვა და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა. მათ აღნიშნული ფართი ესაჭიროებათ საოფისედ, რაზედაც საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა, N69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) პირველ სართულზე 30.00 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ორი წლის ვადით ა(ა)იპ ,,ერთად რეალური ცვლილებებისთვის" (ს/ნ 401981931) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.**

საკითხი 5

ცაგერის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების - ა(ა)იპ ცაგერის სამუსიკო სკოლისა და ა(ა)იპ ცაგერის სამხატვრო სკოლის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **ცაგერის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების - ა(ა)იპ ცაგერის სამუსიკო სკოლისა და ა(ა)იპ ცაგერის სამხატვრო სკოლის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.**

მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა გიორგი კვირიკაშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების - ა(ა)იპ ცაგერის სამუსიკო სკოლისა და ა(ა)იპ ცაგერის სამხატვრო სკოლის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ /ინფორმაცია ოქმს თან ერთვის/.

საკრებულოს წევრები დაინტერესდნენ სახელოვნებო სკოლებში არსებული მდგომარეობით, მოსწავლეების მიღწევებით და კითხვები დაუსვეს ა(ა)იპ ცაგერის სამუსიკო სკოლისა ხემძღვანელს რუსუდან ყურაშვილს და ა(ა)იპ ცაგერის სამხატვრო სკოლის ხელმძღვანელს გიორგი დავითულიანს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დაახლოებით 80% სოციალურად დაუცველის სტატუსით გათავისუფლებულია სწავლის გადასახადისგან, 20% კი - თავად აფინანსებს, სახელოვნებო სკოლების ხელმძღვანელებმა გამოთქვეს მოსაზრება სწავლის საფასურის გადასახადისაგან მოსწავლეთა განთავისუფლების შესახებ, ასევე ისაუბრეს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და მუსიკალური ინსტრუმენტების განახლების შესახებ.

საკრებულოს წევრებმა გამოთქმული ინიციატივა სახელოვნებო სკოლებში სწავლის საფასურის გადასახადისაგან მოსწავლეთა განთავისუფლების შესახებ მოიწონეს და დადებითად შეაფასეს. საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ აღნიშნა, რომ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიასთან ერთად სახელოვნებო სკოლებში სწავლის საფასურის გადასახადისაგან მოსწავლეთა განთავისუფლებასთან დაკავშირებით იმუშავებს მერიის შესაბამის სამსახურთან საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **ცაგერის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების - (ა(ა)იპ ცაგერის სამუსიკო სკოლისა და ა(ა)იპ ცაგერის სამხატვრო სკოლის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.**

საკრებულოს თავმჯდომარე: **ვასილ საღინაძე**